პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 სექტემბერი, შაბათი, 1986 წ.
№ 177 (9338) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# შემოწმებაზე ხვალინდელი ოლიმპიელები არიან

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის მთავარ პრესცენტრში შედგა პირველი სამუშაო პრეს-კონფერენცია, რომელიც ამ კომპლექსური ასპარეზობების ფინალურ ეტაპს მიეძღვნა.

ჟურნალისტების წინაშე გამოვიდა სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. კოლესოვი. მან ისაუბრა ფინალურ ასპარეზობათა მსვლელობაზე, რომელთა ნაწილი უკვე დამთავრდა ან ახლა მიმდინარეობს, ნაწილი კი უახლოეს დღეებში გაიმართება. ზაფხულის მეცხრე სპარტაკიადის შეჯიბრებები ჩატარდება მოსკოვის, ლენინგრადის, ტალინის, კიევისა და ტაშკენტის სპორტულ ბაზებზე. შეიძლება ითქვას, — აღნიშნა მთავარმა მსაჯმა, — რომ სპარტაკიადამ თავის ეკვატორს მიაღწია. წინ არის შეჯიბრებები ისეთ საინტერესო სახეობებში, როგორიცაა მძლეოსნობა, კრივი, ველოსპორტი, სპორტული ტანვარჯიში, სროლა.

IX სპარტაკიადა, — თქვა ა. კოლესოვმა, — ფორმულით არსებითად განსხვავდება თავისი წინამორბედებისგან. აქ აღარ არის კომპლექსური ჩათვლა (გუნდური შედეგები პროგრამის მხოლოდ ზოგიერთ სახეობაში ჯამდება), არ არის პარალელური ჩათვლა სპორტული საზოგადოებებისა და უწყებებისათვის, მონაწილეთათვის შემოღებულია ასაკობრივი ცენზი. ამ სიახლეებს გარკვეულწილად ექსპერიმენტის ხასიათი აქვთ და დღესდღეობით ძნელია განსაზღვრო, რა ზემოქმედებას მოახდენენ ისინი ჩვენი სპორტის შემდგომ განვითარებაზე.

გუნდური ჩათვლა პროგრამის სახეობათა მიხედვით უთუოდ მოგვცემს საშუალებას შეფასდეს ყოველი ტერიტორიული ორგანიზაციის წვლილი სპორტის ცალკეულ სახეობებში რეზერვების მომზადებაში. ასაკობრივი შეზღუდვა სპარტაკიადის სარბიელისკენ უხსნის გზას ახალგაზრდა სპორტსმენებს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში უსპობს კიდეც მათ ლიდერებთან, ქვეყნის ნაკრების წევრებთან შეხვედრის საშუალებას. ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და უწყებებისათვის პარალელური ჩათვლის გაუქმება დღის წესრიგიდან ხსნის წინა წლებში არსებულ მრავალ საკამათო საკითხს, მაგრამ ეს სიახლე ზოგიერთ ორგანიცაზიას აძლევს საშუალებას თავი აარიდონ ოლიმპიური რეზერვების მზადების საქმეს. მთავარმა მსაჯმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოველმხრივი ანალიზი გაუკეთდება სპარტაკიადის შედეგებს, რათა შესაძლებელი იქნეს ამ დიდი ასპარეზობის ყველაზე ოპტიმალური სტრუქტურის შექმნა.

ა. კოლესოვმა ჟურნალისტებს გააცნო საკავშირო სპორტსახკომში შემუშავებული კომპლექსურ ასპარეზობათა სისტემა 1996 წლის ჩათვლით, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ გავუწიოთ ორგანიზაცია რეზერვების გეგმურ მომზადებას, მეტი ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ როგორ ოსტატდებიან ოლიმპიური გუნდების კანდიდატები სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის სპორტსმენთა შეჯიბრებებში გამოსვლის კვალობაზე. ამასთან ერთად, — აღნიშნა მან, — მომავალი წლიდან ფართოვდება უწყებრივი სტარტების კალენდარი, გაიზრდება ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების როლი ოლიმპიური ცვლის აღზრდის საქმეში.

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტები გიორგი ჩოჩიშვილი და ჯემალ კახრაძე მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებენ:

## კარს უტევენ ბითაძე და რამიშვილი

მოსკოვში საწყლოსნო სპორტის ოლიმპიურ ცენტრში დაიწყო წყალბურთელთა სასპარტაკიადო ტურნირი. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებ გუნდს მესამე საპრიზო ადგილზე გასვლა და 100 ქულის მოპოვება აქვს დაგეგმილი. სასპარტაკიადო სტარტი ჩვენმა წყალბურთელებმა წარმატებით აიღეს.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა პირველი შეხვედრა გამართა ქვეჯგუფში, სადაც მისი მეტოქეები უკრაინისა და უზბეკეთის სპორტსმენები არიან. თავდაპირველად საქართველოსა და უკრაინის ნაკრები გუნდების შეხვედრა მოეწყო. ერთი მატჩის მიხედვით ძნელია კატეგორიულად იმსჯელო ამა თუ იმ გუნდის სიძლიერეზე, მაგრამ ამ დღეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა თამაშმა ყველას მოწონება დაიმსახურა. საქართველოს ნაკრები მეორე პერიოდში (პირველი ფრედ — 2:2 დამთავრდა) დაწინაურდა და შეხვედრის ბოლომდე მიჰყავდა ანგარიში. უკრაინელებმა მხოლოდ მესამე პერიოდში, მცირე ხნით იგდეს ინიციატივა, ისიც იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრები ოთხი ბურთით იყო წინ (8:4) და ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდა. როდესაც უკრაინელმა წყალბურთელებმა ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს (8:9), ჩვენი ბიჭები კვლავ გააქტიურდნენ და ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს (11:8). მატჩის საბოლოო ანგარიშია 12:10 საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ (2:2, 8:1, 3:3, 4:4).

აღსანიშნავია, რომ უკრაინელთა კარში გატანილი ყველა ბურთი ორი სპორტსმენის—ალექსანდრე ბითაძისა და დიმიტრი რამიშვილის ანგარიშზეა. პირველმა შვიდჯერ აიღო მეტოქის კარი.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ბელორუსია — ტაჯიკეთი — 7:6; აზერბაიჯანი — მოლდავეთი — 6:6; ყაზახეთი — სომხეთი — 11:9. მოსკოვი — რსფსრ — 13:7.

იხ. მე-2 გვ.

## რევანშისთვის? ჩემპიონატის წინ

„დინამოს" ცენტრალური საბჭოს კალათბურთელთა პირველობა, რომელიც გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო, ჩვენი დინამოელების გარდა მოსკოვის, ჩელიაბინსკისა და ფრუნზეს კოლექტივები მონაწილეობენ.

ოთხი გუნდი ასეთი რანგის ტურნირისათვის შესაძლოა არც იყოს საკმარისი, მაგრამ ამ შეჯიბრებას მოსკოვისა და თბილისის კალათბურთელებისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა უსათუოდ აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ 18 სექტემბერს უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 54-ე საკავშირო ჩემპიონატი იწყება (სხვათა შორის, პირველი წრის პირველი ტური ლენინგრადში, მინსკსა და თბილისში ჩატარდება) და მწვრთნელებს დიდი ფორუმის წინ ძალთა შემოწმების კიდევ ერთი კარგი შესაძლებლობა ეძლევათ. ტურნირის შედეგები ალბათ ამ კუთხითაც უნდა იქნას შეფასებული.

სასტარტო შეხვედრა თბილისელებმა თავისი ლიდერის დერიუგინის გარეშე ჩაატარეს. ასეთ პირობებში ჩელიაბინსკელთა ცენტრალური თავდამსხმელების უვნებელყოფა იოლი საქმე არ იყო. და მართლაც, ოპოშნიანმა თავის გუნდს 31 ქულა შესძინა. თბილისელებმა თამაში ჩვეული შემადგენლობით დაიწყეს (სანაძე, დარსაძე, ტიუბინი, ბოროდაჩოვი და კაპუსტინი), მაგრამ დიდხანს ვერ მონახეს ერთმანეთში საერთო ენა. სწორედ ამის გამო მთელი პირველი ტაიმი (ჩელიაბინსკელებმა იგი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 52:43) და მეორის ნახევარი სტუმრების ერთგვარი უპირატესობით აღინიშნა (მაქსიმალური სხვაობა ანგარიშში 10 ქულას შეადგენდა). მაგრამ ცხადი იყო, რომ თბილისელები მატჩის დათმობას არ აპირებდნენ და ამის გამო შეხვედრის მიწურულში მთელი ძალით ამოქმედდნენ. ამ პერიოდში სანაძემ ეფექტურად ითამაშა. შეხვედრის მიწურულს ანგარიში გათანაბრდა (90:90), მერე კი მასპინძლებმა გამარჯვებასაც მიაღწიეს — 104:97.

თბილისელთა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი სანაძე იყო — 26 ქულა. შედეგიანად ითამაშა კაპუსტინმაც — 25 ქულა (თანაც მან შვიდჯერ შეასრულა სამქულიანი ტყორცნა). დარსაძემ თავის კოლექტივს 18 ქულა შესძინა.

ჩელიაბინსკელთაგან ყურადღებას, პირველ რიგში, ოპოშნიანი იმსახურებდა, რომელმაც, როგორც ზემოთ ვთქვით, გუნდს 31 ქულა მოუტანა. სროლების სიზუსტით აქ მეორე ადგილზე კოხელნიკოვი იყო — 18 ქულა.

მოსკოვის „დინამომ" ფრუნზეს კალათბურთელებთან საქმე, ფაქტიურად, პირველსავე ტაიმში მოაგვარა. 20-ქულიანი სხვაობა (58:38) გამარჯვების საიმედო გარანტია იყო. მეორე ტაიმში მოსკოველები უფრო თამამად, თავისუფლად თამაშობდნენ და იოლ წარმატებასაც მიაღწიეს — 110:80. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები კოჩერგინი (30 ქულა) და ლინდინი (18) იყვნენ, ჩელიაბინსკელთა შორის კი გრებნიოვი (17).



## ელვა-ინფორმაცია

გუშინ მოსკოვში, წყალბურთელთა სასპარტაკიადო ტურნირში ქართველმა სპორტსმენებმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს უზბეკეთის ნაკრებთან შეხვედრაში და ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვეს.

მთელი მატჩის განმავლობაში ჩვენი გუნდის უპირატესობა აშკარა იყო, რაზეც ნათლად მეტყველებს საბოლოო ანგარიში — 19:9 (4:1, 4:2, 4:3, 7:3). ამრიგად, ფინალურ ტურნირს ჩვენი წყალბურთელები 2 ქულით დაიწყებენ.

გაიმართა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის მაია ჩიბურდანიძე — ელენა ახმილოვსკაიას მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა

# ბორჯომი ელის

მაია ჩიბურდანიძე — ელენა ახმილოვსკაიას მატჩი ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის, როგორც ცნობილია, ბორჯომში გაგრძელდება. ბულგარეთის დედაქალაქში მატჩის პირველი ნახევარი ამ თვის ბოლოს დამთავრდება და რამდენიმე დღის შემდეგ პაექრობა ბორჯომში განახლდება.

როგორ ემზადება ჩვენი საკურორტო ქალაქი მატჩის მეორე ნახევრის მასპინძლობისათვის? ამ საკითხს მიეძღვნა მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელიც გუშინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა. თათბირზე ინფორმაციით გამოვიდნენ: საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. მეტრეველი, მატჩის ბორჯომის ნახევრის პრესცენტრის ხელმძღვანელი თ. გაჩეჩილაძე, რესპუბლიკის კურორტების მართვის საბჭოს თბილისის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უფროსი რ. ასათიანი, ბორჯომის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. შამუგლაშვილი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკავშირო პროფსაბჭოს ლიკანის კინოსაკონცერტო კლუბის მატჩისათვის მოსამზადებლად მოკლე დროში დიდი შრომა გასწია და სამუშაოები ხარისხიანად შეასრულა საქართველოს კურორტების მართვის საბჭოს თბილისის სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ. კლუბი მზადაა მატჩის მონაწილეთა მისაღებად.

დღესაც ყველაფერი კეთდება, რომ შეჯიბრების ჩატარების ადგილზე, მთლიანად საკურორტო ქალაქში შეიქმნას საუკეთესო პირობები მატჩის დასკვნითი ეტაპის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. მთელ რიგ საკითხებზე საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ჩხეიძემ.



## ბეისბოლის მოყვარულთა საყურადღებოდ!

კვირას, 14 სექტემბერს 13 საათზე საქართველოს ალპურ კლუბში (კიროვის სახელობის პარკი) ბეისბოლის მოყვარულთა კრება ჩატარდება. მსურველებს ვთხოვთ აღნიშნულ დროს მობრძანდნენ ალპურ კლუბში.

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯერჯერობით XI ადგილზე

**მოსკოვის** ოლიმპიური კომპლექსის საცურაო აუზში გამართულ მოცურავეთა შეჯიბრებას სამი დღის შედეგების მიხედვით ლიდერობს უკრაინის ნაკრები, რომელსაც 730 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა რსფსრ-ის გუნდი (716), მესამეზე — ლენინგრადის ნაკრები (470). საქართველოს სპორტსმენებმა 46 ქულა მოაგროვეს და ჯერჯერობით მეთერთმეტე ადგილზე არიან. ჩვენი რესპუბლიკის უახლოეს კონკურენტს უზბეკეთის გუნდს 228 ქულა აქვს (V ადგილი), ხოლო ლიტვის ნაკრებს — 101 (X).

აღსანიშნავია, რომ მოცურავეთა შეჯიბრებაში ჩათვლას მხოლოდ ის სპორტსმენები იძლევიან, რომლებიც სპორტის ოსტატისა ან უკეთეს შედეგს აჩვენებენ, თანაც იმ შემთხვევაში, თუ 16 საუკეთესოს შორის მოხვდებიან.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან თავი ისახელა სერგეი კოშკომ, რომელმაც 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში 2.07,79 აჩვენა და VI ადგილი დაიკავა. მან გუნდს 14 ქულა შესძინა. ამავე სახეობაში XI იყო კოშკოს თანაგუნდელი ოლეგ ოსკოლკოვი — 2.11,68.

ინდივიდუალურ სახეობებში საქართველოს ნაკრებს ჩათვლა მისცეს სერგეი მაკაროვმა და იური ვდოვიჩენკომ. მაკაროვმა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 52,65 აჩვენა და XI ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ამ სახეობაში ჩვენი რესპუბლიკის კიდევ სამი წარმომადგენელი გამოდიოდა, მაგრამ მათ გუნდს ვერაფერი არგეს. რაც შეეხება ვდოვიჩენკოს, მან ამავე დისტანციაზე ბატერფლაის სტილით ცურვაში XIII ადგილი (57,52) დაიკავა.

ჩვენს გუნდს ჯერჯერობით ყველაზე მეტი ქულა (16) მოუტანეს 4X200 მეტრზე ესტაფეტაში თავისუფალი სტილით მოცურავე ვაჟებმა, რომლებმაც 7.43,70 აჩვენეს და VII ადგილი დაიკავეს. ეს შედეგი საქართველოს რეკორდია.

საინტერესოა, რომ საქართველოს ნაკრებს ესტაფეტაში მხოლოდ 6 მეასედი წამით აჯობეს მეექვსე ადგილზე გასულმა ლენინგრადელებმა.

**გუშინ დილით გაიმართა მოცურავეთა წინასწარი შეჯიბრებები. 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩვენმა ვაჟებმა IV შედეგი (3.31,14) აჩვენეს და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში თბილისელი იგორ არტიომოვი მეორე ფინალში მოხვდა — 4.02,88.**

# დარჩა ორი მონაწილე

**მინსკი.** ბადმინტონისტთა სასპარტაკიადო ტურნირზე დამთავრდა გუნდური შეჯიბრებები. საქართველოს სპორტსმენებმა (ისინი პირველ ჯგუფში ასპარეზობდნენ უკრაინის, ლენინგრადისა და თურქმენეთის კოლექტივებთან ერთად) VIII ადგილი დაიკავეს.

ბადმინტონისტთა ტურნირში მხოლოდ თორმეტი კოლექტივი ასპარეზობს, რომელთა შედეგები გუნდური შეჯიბრებების შემდეგ ასეთია: 1. რუსეთის ფედერაცია — 72 ქულა, 2. ბელორუსია — 60, 3. მოსკოვი — 50, 4. ყაზახეთი — 40, 5. უკრაინა — 34, 6. ლენინგრადი — 28, 7. ესტონეთი — 22, 8. საქართველო — 18, 9. ლიტვა — 16, 10. მოლდავეთი — 14, 11. უზბეკეთი — 12, 12. თურქმენეთი — 10.

დაიწყო პირადი ასპარეზობა, რომლის ქულები, ცხადია, გუნდურ შედეგებს ემატება (პირად ტურნირში ქულებს პირველი ოცდაოთხი ადგილი იძლევა). საქართველოს სპორტსმენთაგან ბრძოლას თბილისელი დავით კაპილაძე (XI-XVI ადგილებისთვის) და ბათუმელი ინგა ბერიძე (XVII-XXIV ადგილებისთვის) განაგრძობენ. გუნდის სხვა ექვსი წევრი შეჯიბრებას გამოეთიშა.

**სპორტკომპლექს** „დრუჟბაში" გამოსვლები დაასრულეს მოფარიკავე ქალებმა. ჩვენი ნაკრები ვარაუდობდა, რომ ამ სახეობაში რვა საუკეთესო კოლექტივს შორის მოხვდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სხვადასხვა მიზეზების გამო სპარტაკიადის წინ ერთდროულად სამმა სპორტსმენმა დატოვა გუნდი, ამ ვარაუდის გამართლება სათუო გახდა. თანაც, ჩვენი ნაკრების ღირსებას, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ ოთხი სპორტსმენი იცავდა. პირველ შეხვედრაში ჩვენი მოფარიკავეები ლიტველებთან დამარცხდნენ, შემდეგ კი IX–X ადგილისათვის ბრძოლაში ესტონელებს სძლიეს. სხვათა შორის, ეს შეხვედრა ისე დამთავრდა, რომ ანგარიში და ჩხვლეტების შეფარდება ორივე გუნდს თანაბარი ჰქონდა და გამარჯვებულის გამოსავლენად კაპიტნების ბრძოლა დაინიშნა. აქ ქეთევან გაჩეჩილაძემ მეტოქეთა რჩეულ სპორტსმენს გამანადგურებელი მარცხი აგემა — 5:0. მომდევნო შეხვედრა ჩვენმა გუნდმა აზერბაიჯანის ნაკრებთან მინიმალური ანგარიშით წააგო — 7:8 და საბოლოოდ X ადგილზე გავიდა. ჩვენი დაშნით მოფარიკავეები კი პირად პირველობაში მეორე ტურის შემდეგ გამოეთიშნენ ბრძოლას. მოფარიკავეთა სასპარტაკიადო ტურნირი გუშინ საღამოს დაშნით მოფარიკავეთა გუნდური პირველობისათვის ბრძოლით დამთავრდა.

# მოფარიკავეები ამთავრებენ ასპარეზობას

**ტექნიკური შედეგები:**

**ფარიკაობა. რაპირა. ქალები. 1. ირინა ბელიკოვა (რსფსრ). 2. ოლგა რადაევა (რსფსრ). 3. ტატიანა პლეშანოვა (მოსკოვი).**

# პირადი რეკორდი... და 6 ქულა

**იზმაილოვოს** სპორტის სასახლეში 100 კგ წონითი კატეგორიის ძალოსნებმა იასპარეზეს. ჩვენი გუნდის წევრმა ცხინვალელმა ახსარბეკ ტასოევმა 155 კგ აიტაცა, 205 კგ აჰკრა, ორჭიდის ჯამში 360 კგ მოაგროვა და XI ადგილი დაიკავა (6 ჩასათვლელი ქულა). ეს შედეგი ახსარბეკის პირადი რეკორდია. დარჩენილ ორ წონით კატეგორიაში ჩვენგან მხოლოდ ერთი ძალოსანი იასპარეზებს.

8 წონით კატეგორიაში ასპარეზობის დამთავრების შემდეგ საქართველოს გუნდი XI ადგილზეა — 46 ქულა. ჩვენმა უახლოესმა მეტოქეებმა უზბეკეთის ათლეტებმა 141 ქულა მოაგროვეს და V ადგილზე იმყოფებიან. ლიტველებს მხოლოდ 5 ქულა აქვთ — XVI ადგილი.

გუნდურ ჩათვლაში ჯერჯერობით ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: 1. უკრაინა — 216; 2. რსფსრ — 215; 3. სომხეთი — 183.

**ტექნიკური შედეგები:**

**100 კგ. 1. ბორის სერიოგინი (რსფსრ) 410 კგ; 2. ოლეგ ჩირიცო (ბელორუსია) 402,5 კგ; 3. ანდრეი დენისოვი (უკრაინა) 400 კგ.**

# დაისაჯნენ... მსაჯები

**როგორც** ჩანს, საქართველოს ბალახის ჰოკეისტთა გუნდის მწვრთნელები ტყუილად არ იიმედებდნენ თავს, როცა ამბობდნენ, რომ მათი შეგირდები ფინალური ტურნირის მეორე ნახევარში მაინც გამოიჩენდნენ თავს. როგორც იცით, ამ მონაკვეთზე ჩვენი ჰოკეისტები შედარებით თანაბარი ძალის მეტოქეებს — ბელორუსიის, ტაჯიკეთისა და მოლდავეთის წარმომადგენლებს უნდა შეხვედროდნენ. მაგრამ ჩვენი ბიჭები ბელორუსიელებთან დამარცხდნენ. წაგებაც არის და წაგებაც. მსაჯის შეცდომებსა და მიკერძოებას ხშირად გადაუწყვეტია შეხვედრის ბედი, მაგრამ...ჩვენ აქ საკუთარ ემოციებს დავთრგუნავთ და მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებას გაგაცნობთ: შეხვედრის დამთავრების შემდეგ ამ მატჩის არბიტრები სტეპანოვი (უზბეკეთი) და ილინი (ყაზახეთი) საერთოდ მოხსნეს სასპარტაკიადო ტურნირიდან. კოლეგიას ამ გადაწყვეტილების მიღებაზე ბევრი არ უყოყმანია: ორი უსამართლოდ დანიშნული პენალტი, ორჯერ, ასევე უსაფუძვლოდ, მოთამაშის გაძევება (ერთისა — თამაშის ბოლომდე) და სხვა მსგავსი ლაფსუსები.

ასეთ პირობებში ჩვენს ჰოკეისტებს, ცხადია, გაუჭირდათ თავიანთი შესაძლებლობების ჩვენება და სამი ბურთის სხვაობით წააგეს მატჩი — 3:6. ჩვენებიდან ბურთები გაიტანეს ზაზა ჩარკვიანმა, მერაბ ჰიკაძემ და ნადირ მამედოვმა. მომდევნო შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში სძლია ტაჯიკ სპორტსმენებს—4:3 (უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად ანგარიში შუააზიელ ჰოკეისტებს მიჰყავდათ). ამ მატჩშიც ჰიკაძემ (2 გოლი), ჩარკვიანმა და მამედოვმა ისახელეს თავი. გუშინ საქართველოს გუნდმა ტურნირის უკანასკნელი შეხვედრა ჩაატარა მოსკოველებთან. მანამდე მოსკოველები დამარცხდნენ ბელორუსიელებთან — 1:4. საქართველოს ჰოკეისტები VI ადგილზე გასვლის შანსს ინარჩუნებენ.

ლიდერობს უზბეკეთის ნაკრები — 10 ქულა.

**რედაქციისაგან: საქართველოსა და ბელორუსიის ჰოკეისტთა შეხვედრის ანგარიში გუშინ გამოაქვეყნა გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა". ჩვენს სპორტსმენებს, ცხადია, ვერ მოვუწონებთ ზედმეტ სიფიცხეს, მათ ნებისმიერ სიტუაციაში მეტი თავდაჭერა მართებდათ. რაც შეეხება მსაჯთა არაობიექტურობას, ეს კოლეგიის განსახჯელი საგანი იყო და აკი ითქვა კიდეც სათქმელი.**

### ოსტატობის კარიბჭესთან

# რეზერვის რეზერვი

**დიდი** სპორტისთვის რეზერვის მომზადების თვალსაზრისით მოზარდთა ყოველ შეჯიბრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საკავშირო ტურნირები „ტყავის ბურთი", „ოქროს შაიბა". უკანასკნელ წლებში მათ შეემატა ნორჩ რეგბისტთა „ოქროს ოვალი" და ხელბურთელთა „სწრაფი ბურთი". მოზარდ ხელბურთელთა ტურნირს, რომელიც წლეულს მეათედ ჩატარდა, თბილისმა უმასპინძლა. ასპარეზობაში 13-14 წლის გოგო-ბიჭები მონაწილეობდნენ. ფინალურ შეჯიბრებას წინ უძღოდა შეხვედრები ქვეჯგუფებში, სადაც შეირჩა ის 8-8 კოლექტივი, რომლებმაც გაითამაშეს პირველობა. მასპინძელთა სპორტულ ღირსებას იცავდნენ თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის აღსაზრდელები (დირექტორი თამაზ ანთაძე).

ორ ქვეჯგუფში წინასწარი შეხვედრების შემდეგ ბიჭების ფინალურ ოთხეულში თამაშის უფლება მოიპოვეს ბაქოს, ასტრახანის, ომსკის გუნდებმა და შარშანდელმა გამარჯვებულმა — თბილისის კოლექტივმა. წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა ხელბურთელებმა — სძლიეს ომსკისა (14:12) და ასტრახანის (17:10) წარმომადგენლებს, ბაქოელ სპორტსმენებთან შეხვედრა კი ფრედ (13:13) დაამთავრეს და პირველობა მოიპოვეს. გუნდს წვრთნიან თბილისის „ბურევესტნიკის" ყოფილი მოთამაშეები, სპორტის ოსტატები ლევან აბესაძე და ალექსანდრე ხუციშვილი.

მეორე ადგილზე აზერბაიჯანელი ხელბურთელები გავიდნენ, მესამეზე — ომსკელები.

გოგონათა შეჯიბრების ფინალში მასპინძლებთან ერთად გავიდნენ ტაშკენტის, როსტოვისა და ყაზახეთის ქალაქ პავლოდარის წარმომადგენლები. ჩინებულად მომზადებული აღმოჩნდა პავლოდარის გუნდი, რომელმაც სამივე მეტოქე იოლად დაამარცხა და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. დანარჩენ სამ გუნდს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდა. ბურთების უკეთესი სხვაობით მეორე ადგილზე გავიდა თბილისის გუნდი (მწვრთნელები თამაზ მაცუკაშვილი და თამაზ ჩხაიძე), რომელმაც ანგარიშით 10:8 სძლია ტაშკენტელ თანატოლებს, როსტოვისა და პავლოდარის კოლექტივებთან შეხვედრებში კი დამარცხდა — შესაბამისად 11:12 და 5:20.

უდავოდ იმედის მომცემია თბილისელ გოგონათა წარმატება. ისინი უკანასკნელი წლების მანძილზე პრიზიორთა შორის კი არა, ფინალურ ჯგუფშიც ვერ ხვდებოდნენ.

**გია ახალაძე.**



**ტირასპოლში** ჩატარდა ტრადიციული საკავშირო ტურნირი — საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროს პირველობა ხელბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1971-1972 წლებში დაბადებული გოგონები და ჭაბუკები. სწორედ ეს გუნდები ითამაშებენ გაისად მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე.

ტურნირში მონაწილეობდა გოგონათა და ჭაბუკთა 18-18 კოლექტივი. აქ წარმოდგენილი იყო ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკა, აგრეთვე ქალაქები მოსკოვი და ლენინგრადი. მონაწილენი დაყოფილი იყვნენ 3 ჯგუფად (თითოეულში — 6 გუნდი). ფინალში თამაშის უფლება ეძლეოდათ I–II ადგილებზე გასულ გუნდებს. სხვებთან ერთად გადამწყვეტ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც — როგორც გოგონებმა, ისე ჭაბუკებმა. ფინალურ ტურნირში უკეთესად იასპარეზეს ჭაბუკებმა (მწვრთნელები ა. ხუციშვილი, მ. მეტრეველი), რომლებმაც ხუთი შეხვედრიდან ოთხი მოიგეს. ისინი მხოლოდ მასპინძლებთან, მოლდაველ თანატოლებთან დამარცხდნენ (18:21) და მეორე ადგილი დაიკავეს. პირველი ადგილი მოლდაველებმა მოიპოვეს.

გოგონათა გუნდი საბოლოოდ მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. ჩვენი რესპუბლიკის გუნდებისთვის ორივე ეს შედეგი საუკეთესოა ანალოგიური შეჯიბრებების ისტორიაში.

### მკითხველი — გაზეთი

**● საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს კალათბურთელ ვაჟებს საუკეთესო შედეგი ნაჩვენები აქვთ 1959 წელს — II ადგილი. გვაინტერესებს რა შემადგენლობით გამოდიოდა მაშინ ჩვენი გუნდი და ვის როგორ ეთამაშა?**

**ვახტანგ გეგენავა, ბიჭი გაგისკირია.**

სოხუმი.

— წინასწარი შეხვედრები საქართველოს ნაკრებმა პირველ ქვეჯგუფში ჩაატარა, ოთხი მატჩი მოიგო (თურქმენეთთან, ლატვიასთან, მოლდავეთთან, ტაჯიკეთთან), ერთი წააგო (ყაზახეთთან — 63:64) და 4 ქულით ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა. ფინალში ჩვენმა კალათბურთელებმა აზერბაიჯანის, ლენინგრადისა და რუსეთის ფედერაციის სპორტსმენები დაამარცხეს, წააგეს პრინციპული ბრძოლა მოსკოვთან (53:65) და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

საქართველოს ნაკრების ღირსებას იმ წელს ცხრა დინამოელი და ორი ბურევესტნიკელი იცავდა. დინამოელთაგან გუნდში თამაშობდნენ: გურამ აბაშიძე, ლევან მოსეშვილი, გურამ მინაშვილი, ილარიონ ხაზარაძე, რევაზ გოგელია, ვალერი ალთაბაევი, ლევან ინწკირველი, ვლადიმერ უგრეხელიძე და ალექსანდრე კილაძე, „ბურევესტნიკიდან" კი ანზორ ლეჟავა და თამაზ კაკაურიძე.

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

49

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 11 სექტემბერი.

**„დინამო“ (თბილისი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 2:0 (2:0).**

**„დინამო“:** ბალაძე, გოგრიჭიანი, ჩივაძე, ცვეიბა, კუდინოვი, გურული (ჟორდანია, 46), სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა, ჩელებაძე (ფანცულაია, 69), რევიშვილი.

**„ქაირათი“:** უბიკინი, ტიმოფეევი, ჯუმანოვი, იაროვენკო, კულინიჩი, კარაჩუნი, ოგაი (გრიჯანი, 85), ლედოვსკიხი, სალიმოვი, მასუდოვი, ფეხლევანიდი (სოროკინი, 75).

მსაჯი ვ. ჟუკი (მინსკი).

გოლები: სულაქველიძე (6), ჩელებაძე (43, პენალტით).

ალმაათელ ფეხბურთელებს ახლა რეალურად ემუქრებათ უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე და ჩემპიონატის ფინიშზე ყოველი ქულა მათთვის მეტად ძვირად ფასობს. ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ მათთან შეხვედრა თბილისელთათვის მძიმე გამოცდა იქნებოდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ გუშინწინდელ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო დინამოელთა ერთბაშად რამდენიმე ძირითადმა მოთამაშემ: ნახევარმცველმა ჭედიამ ტრავმის გამო ზედიზედ მეორე თამაში გამოტოვა, დაშავებული გაბელიას ნაცვლად კარში ბალაძემ დაიკავა ადგილი, წინა კალენდარულ მატჩში მიღებული მეორე გაფრთხილების გამო ვერ ითამაშა კეტაშვილმა.

ერთი სიტყვით, მასპინძელთა მწვრთნელებს თამაშის გეგმაში საკმაოდ მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა მოუხდათ: ჩივაძემ კვლავ თავისი ჩვეული ადგილი დაიკავა დაცვის ცენტრში, რამაც, ერთი მხრივ, შეასუსტა დინამოელთა შემტევი პოტენციალი, მეორე მხრივ კი მათ რიცხობრივი უპირატესობა მიანიჭა: ჩივაძის დაცვაში დაბრუნება მის თანაგუნდელებს საშუალებას აძლევდა უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ იერიშში და დინამოელებმაც მატჩის დიდი ნაწილი სამი მცველით ჩაატარეს.

მასპინძლებმა თავიდანვე აქტიურად, სწრაფი ტემპით დაიწყეს თამაში და საფუძვლიანად მოიკიდეს ფეხი მეტოქის ნახევარზე. საკმარისია ითქვას, რომ მე-4 წუთისთვის თბილისელებს უკვე სამი კუთხური ჰქონდათ ჩამოწოდებული სტუმართა კართან. ასეთმა ენერგიულმა დებიუტმა სულ მალე შედეგიც გამოიღო: მე-6 წუთზე ცაავამ ეფექტური პასი მისცა წინ გაჭრილ სულაქველიძეს, ამ უკანასკნელმა ზედიზედ რამდენიმე მეტოქეს აუარა გვერდი, საჯარიმოში შევიდა და ზუსტად დაარტყა კარის დაუცველ კუთხეში — 1:0. მთელი კომბინაცია ლამაზად, თითქოს ერთი ამოსუნთქვით შესრულდა და სამართლიანად გამოიწვია მაყურებელთა ოვაციები.



მომენტი განვლილი მატჩიდან „დინამო“ (თბილისი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა).

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გოლმა ერთგვარად მოადუნა დინამოელები. მათ თანდათან უკლეს ტემპს, ბურთის აუჩქარებელ გათამაშებაზე გადავიდნენ, რაც სტუმართა წისქვილზე ასხამდა წყალს. მე-9 და მე-12 წუთებზე ალმაათელებს ორჯერ მიეცათ ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ ჯერ ფეხლევანიდიმ, შემდეგ კი კარაჩუნმა მიზანს ააცდინეს. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ შემდგომში, დარჩენილ 78 წუთში, „ქაირათის“ თავდამსხმელებს იოტისოდენა ხიფათიც არ შეუქმნიათ ბალაძის კარისთვის. ალმაათელი მწვრთნელები ძირითად იმედს, ეტყობა, ფეხლევანიდიზე ამყარებდნენ, რომელმაც აშკარად ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. საქმეს ვერც სოროკინმა უშველა, რომელმაც მეორე ტაიმში ფეხლევანიდი შეცვალა.

რაც შეეხება „დინამოს“, შესვენებამდე მას კიდევ რამდენიმეჯერ შეეძლო ანგარიშის გაზრდა: მე-13 წუთზე გურულმა თავით კარგი მდგომარეობიდან ააცდინა კარს, 10 წუთის შემდეგ კი რევიშვილის მიერ ძლიერად დარტყმულმა ბურთმა მარცხენა ძელს ჩაუფრინა. სიტყვამ მოიტანა და, უნდა ითქვას, რომ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელმა კარგად ითამაშა ჩვენი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ „დინამოს“ კიდევ ერთი ახალგაზრდა წევრი კუდინოვი, რომელიც მატჩიდან მატჩამდე იმაღლებს ოსტატობას და უკვე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თბილისელთა თამაშის საიმედოობას.

მეორე გოლი მასპინძლებმა 43-ე წუთზე გაიტანეს. „ქაირათის“ მცველები საკუთარ საჯარიმო მოედანზე უხეშად მოექცნენ ჩელებაძეს, რისთვისაც არბიტრმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. პენალტი თვით ჩელებაძემ დაარტყა — 2:0.

მეორე ტაიმში თამაშის ტემპმა იკლო. მაინც რეალური საგოლე მომენტი არც ერთ კართან არ შექმნილა. მატჩის ასეთი მსვლელობა, ეტყობა, სავსებით აკმაყოფილებდა მასპინძლებს, მათ მაინცდამაინც არც უზრუნიათ ტაქტიკის შეცვლაზე. „დინამომ“ ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა.

**დავით კაკაბაძე.**

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 11 სექტემბერი.

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:0 (0:0).**

**ქუთაისი:** მიქაძე, ფრუიძე, თევზაძე, ჭელიძე (გოგოტაძე), მალანია, ტყავაძე, კორღალიძე, ჟორჟიკაშვილი, შენგელია, მეგრელაძე, მანაგაძე (ხუნდაძე).

**მოსკოვი:** ხარინი, კრუგლოვი, კოვაჩი, პრიგოდა, შავეიკო, გრიშინი, ი. სავიჩევი (პიხარევი, 56), კობზევი, ნ. სავიჩევი (შავლო, 68), პოლუკაროვი, პლოტნიკოვი.

მსაჯი ი. მილიაუსკასი (ალიტუსი).

გოლი: პრიგოდა (46 წთ, საკ. კარში).

გააფრთხილეს მალანია.

დუბლიორები — 0:4.

მოსკოვისა და ქუთაისის ტორპედოელთა შეხვედრა მუდამ დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს. ეს მატჩიც საკმაოდ მაღალ ტემპში დაიწყო, ორივე გუნდის ფეხბურთელები ბევრს მოძრაობდნენ, მაგრამ ეს აქტიურობა ძირითადად მინდვრის შუა ნაწილში იგრძნობოდა და მეტოქეებმა პირველი 15 წუთის განმავლობაში ერთი ხიფათიანი მომენტი ვერ შექმნეს. მასპინძელთა ნახევარმცველები ხშირად ფლობდნენ ბურთს, ცდილობდნენ შეტევების ორგანიზებას და რამდენიმე მწვავე გადაცემაც შეასრულეს, მაგრამ სამართლიან საყვედურს იმსახურებს შეტევის ხაზი, უფრო სწორად, საიერიშო შესაძლებლობანი.

პირველ ტაიმში მოსკოველთა მიერ შექმნილი ერთადერთი საგოლე მომენტის განმუხტვაში მიქაძეს მთელი თავისი ოსტატობის ჩვენება დაჭირდა: 32-ე წუთზე ღიად დარჩენილმა პლოტნიკოვმა 20-22 მეტრიდან ძლიერად დაარტყა მაღალ კუთხეში. ჩვენმა მეკარემ აკრობატულ ნახტომში შეძლო ამ ძნელი ბურთის მოგერიება.

რაც შეეხება მეორე ტაიმს, მისი პირველივე წუთი გადამწყვეტი გამოდგა: კორღალიძეს ზუსტი გადაცემით სახიფათო პოზიციაში გაჭყავდა მეგრელაძე. ამ ფორვარდის ბრძოლა მეტოქის ორ მცველსა და მეკარესთან იმით დამთავრდა, რომ პრიგოდამ ბურთი... საკუთარ კარში გაგზავნა.

მოსკოველებმა ორი ფეხბურთელით გააძლიერეს თავდასხმა, კობზევის დარტყმა ძელმა მოიგერია, შემდეგ ისევ მიქაძემ იმარჯვა, ხოლო 76-ე წუთზე თევზაძემ ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი.

ქუთაისელთა მცველებმა ამ მატჩში წინა შეხვედრებისაგან განსხვავებით გაცილებით ნაკლები შეცდომა დაუშვეს, ყურადღებით ითამაშეს და ანგარიშიც შეინარჩუნეს. ძლიერ, გამოცდილ მეტოქესთან გამარჯვება ყოველთვის მისასალმებელია, მით უმეტეს, თუ იგი ასეთ ძნელ ბრძოლაში იქნა მოპოვებული.

**თამაზ ხარაბაძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

**სხვა მატჩები:**

11 სექტემბერს შედგა სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, 24-ე ტურის მატჩები.

„ზენიტი“ — „დინამო“ მ. 0:0
„ჟალგირისი“ — „სპარტაკი“ 1:1
„შახტიორი“ — „დინამო“ კ. 3:3
„მეტალისტი“ — „დნეპრი“ 1:0
„ნეფთჩი“ — „ჩერნომორეცი“ 3:1
„არარატი“ — „დინამო“ მნ. 0:0

**გათამაშების ცხრილი ● მდგომარეობა 13 სექტემბრისთვის**

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 24 | 10 | 7 | 7 | 39-19 | 27 | (—21) |
| 2. | „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 23 | 10 | 7 | 6 | 34-22 | 27 | (—19) |
| 3. | „შახტიორი“ (დონეცკი) | 24 | 9 | 9 | 6 | 35-25 | 27 | (—21) |
| 4. | „დინამო“ (მოსკოვი) | 22 | 9 | 9 | 4 | 27-21 | 27 | (—17) |
| 5. | „დინამო“ (თბილისი) | 24 | 9 | 8 | 7 | 26-26 | 26 | (—22) |
| 6. | „დინამო“ (კიევი) | 19 | 8 | 8 | 3 | 28-19 | 24 | (—14) |
| 7. | „ნეფთჩი“ (ბაქო) | 24 | 7 | 11 | 6 | 28-25 | 24 | (—24) |
| 8. | „ტორპედო“ (მოსკოვი) | 25 | 7 | 11 | 7 | 25-25 | 24 | (—26) |
| 9. | „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 24 | 7 | 9 | 8 | 31-31 | 23 | (—25) |
| 10. | „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 24 | 8 | 6 | 10 | 21-27 | 22 | (—26) |
| 11. | „არარატი“ (ერევანი) | 24 | 7 | 8 | 9 | 19-24 | 22 | (—26) |
| 12. | „დინამო“ (მინსკი) | 24 | 7 | 8 | 9 | 22-32 | 22 | (—26) |
| 13. | „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 23 | 7 | 7 | 9 | 17-19 | 21 | (—25) |
| 14. | „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 24 | 7 | 7 | 10 | 20-32 | 21 | (—27) |
| 15. | „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 24 | 7 | 6 | 11 | 22-27 | 20 | (—28) |
| 16. | „ტორპედო“ (ქუთაისი) | 24 | 5 | 7 | 12 | 23-48 | 17 | (—31) |

# ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

**განვლილ ოთხშაბათს დაიწყო ევროპის 1988 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის თამაშები წინასწარ, საკვალიფიკაციო ჯგუფებში. ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შეხვედრები გაიმართება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქებში, მანამდე კი კონტინენტზე შექმნილ 7 შესარჩევ ჯგუფში ფინალში მონაწილეობის უფლებისთვის იბრძოლებენ 32 ქვეყნის გუნდები.**

მსოფლიო პირველობებზე წინა გათამაშების ჩემპიონები უშუალოდ მონაწილეობენ ფინალურ ეტაპზე, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე სხვა დებულებაა. წინა გათამაშების ჩემპიონი (ამჯერად, საფრანგეთის ნაკრები) სხვებთან ერთად მონაწილეობს საკვალიფიკაციო შეჯიბრებებში და მხოლოდ მასპინძელ გუნდს (ამ შემთხვევაში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს) ეძლევა უფლება უშუალოდ ფინალში ითამაშოს, დანარჩენ 7 მონაწილეს გამოავლენენ შესარჩევი მატჩები, ფინალში თამაშის უფლებას ღებულობენ მხოლოდ ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები.

### I ჯგუფი

**რუმინეთი, ავსტრია, ესპანეთი, ალბანეთი**

რუმინელმა ფეხბურთელებმა ბუქარესტში მიიღეს ავსტრიის ნაკრები. მასპინძლებს სრული უპირატესობა ჰქონდათ, მათმა მცველმა იოვანმა პირველ ტაიმში გახსნა ანგარიში, შემდეგ კი ლეკეტუშმა, კვლავ იოვანმა და ხაჯიმ ანგარიში აიყვანეს 4:0-მდე.

### III ჯგუფი

**საფრანგეთი, სსრ კავშირი, ნორვეგია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ისლანდია**

ისლანდიის ფეხბურთელებმა რეიკიავიკში მიიღეს ევროპის ჩემპიონები — ფრანგები. საფრანგეთის გუნდი ახლა აშკარად არაა ფორმაში. ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო შეჯიბრებათა დაწყებამდე ფრანგებმა ლოზანაში მარცხი იწვნიეს შვეიცარიის ნაკრებისგან (0:2) და უკვე მაშინ ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. მიშელმა აღნიშნა, რომ გაწბილებულია თავისი გუნდის უსისტემო, ინერტული თამაშით. განსაკუთრებით პასიურობდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც მან ვეტერანთა შემცვლელებად მიიწვია. ამ წაგებულ მატჩში თუკი ვინმე ხეირიანად თამაშობდა, ისევ ნაკრების ძველი ფეხბურთელები იყვნენ: მეკარე ბატსი, მცველები ბატისტონი და ამორო, აგრეთვე, თავდამსხმელი სტოპირა. რაც შეეხება ახალგაზრდებს (მცველები ბოლი და ტუვენელი, ნახევარმცველი გიოტა, თავდამსხმელი ბუჟე და სხვანი), ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა გამოიყურებოდნენ.

ფრანგების მწვრთნელის ამ განცხადების შემდეგ გასაკვირი არაა, რომ ევროპის ჩემპიონმა ასევე უნიათოდ ითამაშა ისლანდიის შედარებით სუსტ გუნდთან და მხოლოდ ფრეს დასჯერდა — 0:0. თამაში უხეშობით და მწვავე ინციდენტებით აღინიშნა, შოტლანდიელი არბიტრი მ. ფერგიუსონი იძულებული იყო გაეფრთხილებინა აიაში, ვერკრუისი და ამორო (საფრანგეთი), აგრეთვე, პეტურსონი (ისლანდია).

რეიკიავიკის სტადიონზე დამსწრე 16 ათასი მაყურებელი მონოტონური, პოზიციური თამაშის მოწმე გახდა წვიმისგან ატალახებულ მინდორზე. საერთო ტერიტორიული უპირატესობა ფრანგებს ეპყრათ, მაგრამ მასპინძელთა ეპიზოდური კონტრშეტევები უფრო სახიფათო იყო. განსაკუთრებით აღნიშნავენ პეტურსონს (იგი კონტრაქტით თამაშობს ბელგიის „ანდერლეხტში“) და გუდიუნსონს (თამაშობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შტუტგარტში“).

მხოლოდ ბოლო 10 წუთის მანძილზე განავითარეს მაღალი ტემპი ფრანგებმა, მაგრამ ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი.

გთავაზობთ მეტოქეთა შემადგენლობებს: **ისლანდია** — სიგურდსონი, ა. იუნსონი, გუდიუნსონი, სიგურვინსონი, ედვალდსონი, ტორფასონი, გისლასონი, პეტურსონი, მარგერეისონი, ს. ი. იუნსონი, ს. ა. იუნსონი; **საფრანგეთი** — ბატსი, ამორო, ბოლი, ბატისტონი, აიაში, ფერნანდესი, ვერკრუისი, ტიგანა, ჟენგინი, სტოპირა, პეი.

საფრანგეთის ნაკრების ცნობილმა ფეხბურთელმა ტიგანამ მატჩის შემდეგ განაცხადა: „უკმაყოფილო ვარ ჩვენი გუნდის თამაშით, ისლანდიელებმა არ მოგვცეს საშუალება „ჩვენი ფეხბურთი“ გვეჩვენებინა, ისინი ჩინებულად იცავდნენ თავს“.

**24 სექტემბერს სსრ კავშირის ნაკრები რეიკიავიკში შეხვდება ისლანდიის გუნდს.**

### VI ჯგუფი

**უელსი, ფინეთი, ჩეხოსლოვაკია, დანია**

უელსის ნაკრები ფინეთში შეხვდა მეტოქეს და ფრეს მიაღწია — 1:1. პირველი ბურთი ფინელებმა გაიტანეს (ჰელმი), შესვენების შემდეგ კი ანგარიში გაათანაბრა სლეტერმა.

მატჩის დასასრულს ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა მიეცა უელსელ ჯეიმსს, მაგრამ მეტად ძნელი ბურთი მოიგერია ფინელთა მეკარე ლაუკანენმა.



### VII ჯგუფი

**ბელგია, ბულგარეთი, ირლანდია, შოტლანდია, ლუქსემბურგი**

გლაზგოში ერთმანეთს შეხვდნენ შოტლანდიისა და ბულგარეთის გუნდები. დაძაბულმა ბრძოლამ ვერც ერთ მხარეს ვერ მოუტანა გამარჯვება — 0:0.

ბელგიელებმა ბრიუსელში მიიღეს ირლანდიის ნაკრები. აქაც ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას — 2:2.

• • •

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი: ნორვეგია — უნგრეთი 0:0, გდრ — დანია 0:1, შვეცია — ინგლისი 1:0, ჩეხოსლოვაკია — ჰოლანდია 1:0.

• • •

ამ დღეებში გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების მატჩები, სადაც მონაწილეობდნენ ევროპის მომავალ საკლუბო ტურნირებში საბჭოთა გუნდების მეტოქეები.

უნგრეთის „რაბა ეტომ“, რომელიც მინსკის „დინამოს“ მეტოქეა უეფა-ს თასზე, ბუდაპეშტში წააგო „ჰონვედთან“ — 0:1 და 5 ტურის შემდეგ 5 ქულით მე-7 ადგილზეა.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ ამავე გათამაშებაში უნდა შეხვდეს ვარშავის „ლეგიას“. „ლეგიამ“ ფრედ ითამაშა ლიუბლინის „ზაგლემბესთან“ და 6 ქულით 6 ტურის შემდეგ მე-6 ადგილზე იმყოფება პოლონეთის ჩემპიონატში.



სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

# მასპინძლობის ტური

**რაგბისტთა** საკავშირო ჩემპიონატის „ა“ და „ბ“ ფინალურ ჯგუფებში მოასპარეზე გუნდები მორიგი ტურის მატჩებს დღეს და ხვალ გამართავენ.

„ა“ ფინალურ ჯგუფში ქუთაისის „მშენებელი“ უმასპინძლებს გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს მოსკოვის „სლავას“. წინა ტურში „მშენებელი“ მოსკოვში ორჯერ დამარცხდა „ფილისთან“ — 15:43, 3:20 და ახლა რვა უძლიერეს კოლექტივს შორის ბოლო ადგილზეა.

დღეისათვის ამ ჯგუფის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხხა | 28 | 22 | 3 | 3 | 47 |
| „სლავა“ | 29 | 21 | 3 | 5 | 45 |
| „ფილი“ | 29 | 16 | 1 | 12 | 33 |
| „ლოკომ.“ (მ.) | 29 | 15 | 1 | 13 | 31 |
| ახკ | 29 | 15 | 1 | 13 | 31 |
| „ავიატორი“ | 29 | 15 | 1 | 13 | 31 |
| „ეტხ“ | 29 | 10 | 1 | 18 | 21 |
| „მშენებელი“ | 28 | 7 | 2 | 19 | 16 |

„ბ“ ფინალურ ჯგუფში მოასპარეზე თბილისის გუნდები წინა ტურში ლიდერებს ესტუმრნენ. „ლოკომოტივმა“ ტირასპოლში ორივე მატჩი წააგო „ელექტრომაშთან“ — 9:23, 7:17. „შევარდენისა“ და ლენინგრადის „პრიმორეცის“ პირველი შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0, მეორეში კი თბილისელები დამარცხდნენ — 3:6 (დღეს და ხვალ „შევარდენი“ უმასპინძლებს „ელექტრომაშს“).

13 სექტემბრისთვის „ბ“ ფინალურ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „პრიმორეცი“ | 15 | 11 | 1 | 3 | 23 |
| „ელექტრ.“ | 13 | 10 | 0 | 3 | 20 |
| „შევარდენი“ | 15 | 7 | 1 | 7 | 15 |
| „ხოკოლი“ (ლვ.) | 13 | 7 | 0 | 6 | 14 |
| „ლოკომოტივი“ | 13 | 7 | 0 | 6 | 14 |
| „პოლიტ.“ (კ.) | 15 | 6 | 0 | 9 | 12 |
| „სპარტაკი“ | 13 | 4 | 0 | 9 | 8 |
| მხი | 15 | 3 | 0 | 12 | 6 |

**შენიშვნა:** სატურნირო მდგომარეობის უკეთ წარმოჩენის მიზნით ცხრილების შედგენისას ქულათა დარიცხვის ამჟამად მოქმედი სისტემის ნაცვლად (მოგება — 3 ქულა, ფრე — 2, წაგება — 1 ქულა) გამოვიყენეთ ტრადიციული სისტემა: მოგება — 2 ქულა, ფრე — 1, წაგება 0 ქულა. ვინაიდან გუნდებს არათანაბარი რაოდენობის მატჩები აქვთ ჩატარებული, ვფიქრობთ, ეს სისტემა უფრო ნათლად წარმოაჩენს სადღეისო სატურნირო მდგომარეობას. ცხადია, ამ სისტემების გამოყენებით შედგენილი ცხრილები საბოლოოდ ერთმანეთს ემთხვევა.

# მეოცე გათამაშების პირველი მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საკონტინენტთაშორისო** თასი კალათბურთში, ფაქტიურად, კლუბების მსოფლიო ჩემპიონატია, რომელიც წლეულს არგენტინაში მეოცედ ტარდება. შეჯიბრებაში მონაწილე რვა გუნდი ორ ჯგუფადაა დაყოფილი. ბუენოს-აირესში ასპარეზობენ: „ციბონა“ (იუგოსლავია), „ობრას სანიტარიასი“ (არგენტინა), „კონტინენტალი“ (აშშ) და „კორინტიანსი“ (ბრაზილია). მეორე კვარტეტი — „ჟალგირისი“ (სსრ კავშირი), „ფეროკარილ ოესტე“ (არგენტინა), „მონტე ლიბანო“ (ბრაზილია) და „კარიდუროსი“ (პუერტო-რიკო) კორდოვის ჯგუფში თამაშობს.

ბუენოს-აირესის ჯგუფში ლიდერობა ხელთ იგდეს „ციბონამ“ და „ობრას სანიტარიასმა“. პირველმა ბრაზილიის „კორინტიანსი“ დაამარცხა — 114:87 (66:57), მეორემ — აშშ-ის „კონტინენტალი“ — 108:107 (54:60).

გამარჯვებით დაიწყო ტურნირი „ჟალგირისმაც“. პირველ დღეს მან სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი, ბრაზილიის „მონტე ლიბანო“ დაამარცხა — 83:81 (40:43). „ფეროკარილ ოესტემ“ პუერტორიკოელთა კოლექტივს ანგარიშით 90:80 (50:77) აჯობა.

მეორე წრეში საბჭოთა კალათბურთელები არგენტინის „ფეროკარილ ოესტესთან“ დამარცხდნენ 87:99 (47:61), თუმცა ნახევარფინალში გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებენ. ამისათვის მათ პუერტორიკოს „კარიდუროსს“ უნდა აჯობონ. არგენტინელებთან მატჩში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იოვაიშა (23 ქულა) და საბონისი (22) იყვნენ.

ამ დღის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ციბონა“ — „კონტინენტალი“ 127:82 (51:38), „კორინტიანსი“ — „ობრას სანიტარიასი“ 126:84 (57:50), „კარიდუროსი“ — „მონტე ლიბანო“ 81:75 (46:43).

ორმა გუნდმა — ზაგრების „ციბონამ“ და „ფეროკარილ ოესტემ“ ნახევარფინალში თამაშის უფლება უკვე გაინაღდა.

## ელვა-ინფორმაცია

**ბუენოს-აირესი.** კაუნასის „ჟალგირისმა“ დაამარცხა პუერტო-რიკოს „კარიდუროსი“ 94:87 (47:48) და საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. აქ მთავარი პრიზისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდებიან: „ციბონა“ — „ჟალგირისი“ და „კორინტიანსი“ — „ფეროკარილ ოესტე“.

## პირველი შესვენება სოფიაში

**11 სექტემბერს** სოფიაში უნდა გამართულიყო ჩიბურდანიძე — ახმილოვსკაიას მატჩის მე-5 პარტია, მაგრამ იმის გამო, რომ პრეტენდენტმა პირველი ტაიმ-აუტი აიღო, ეს პარტია დღეს უნდა გათამაშდეს.




## „მერანი“ № 17

**გამოვიდა** გაზეთ „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ მორიგი, მე-17 ნომერი.

დამატება იხსნება მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძისა და ელენა ახმილოვსკაიას მატჩისადმი მიძღვნილი მასალებით. ნომერში დაბეჭდილია ორივე მეტოქის დოსიეები, მატჩის გახსნისადმი მიძღვნილი ინფორმაცია და პირველი პარტია. მკითხველი გაეცნობა მატჩთან დაკავშირებულ მრავალფეროვან მასალას, მატჩის მთავარ მსაჯს რუდოლფ მარიჩს; ამ ორთაბრძოლას ეძღვნება, აგრეთვე, წერილი „საუკუნის მეოთხედი...“

გივი გამრეკელის წერილი „ესტაფეტა ლენინგრადმა მიიღო“ ეძღვნება გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანშს. აქვე დაბეჭდილია ამ მატჩის VII-XII პარტიები.

ნოდარ ბესალაშვილის წერილით „ბიოლოგის მეორე გატაცება“ მკითხველი გაეცნობა ოდესაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, საჭადრაკო კომპოზიტორ რაინდ მინდაძის შემოქმედებას.

„მერანი“ თავის მკითხველებს სთავაზობს ახალ რუბრიკას „კომბინაცია“, სადაც ვეცნობით სასიქადულო ქართველი მოჭადრაკის ანდრია დადიანის (1850-1910 წ.) შემოქმედებას.

ნომერში დაბეჭდილია სხვა საინტერესო მასალებიც რუბრიკებით — „ინფორმაცია“, „უცხოეთის პრესის ფურცლებზე“, „კომპოზიცია“ და სხვა.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 31 აგვისტოს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი 35-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6-45“-დან:** გაიყიდა 704 933 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო. 5 ციფრის გამოცნობისთვის (45 ბარათი) მოგება 939 მანეთია. 4-ისათვის (2647) — 23, სამისთვის (42 783) — 3.

**„სპორტლოტო 5-36“ დან:** გაიყიდა 5 792 017 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (13 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (2704) — 231, სამისთვის (122721) — 8.

## ისევ ივან ლენდლი

**ნიუ-იორკი.** დამთავრდა მსოფლიოს ჩოგბურთელთა ერთ-ერთი ყველაზე საპრესტიჟო ასპარეზობა — ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი. ეს შეჯიბრება ეგრეთ წოდებული „დიდი მუზარადის“ მესამე ტურნირია — პირველი ორი (საფრანგეთის ღია პირველობა და უიმბლდონის ტურნირი), როგორც ცნობილია, წლეულს უკვე გაიმართა, მალე ჩატარდება წლევანდელი „დიდი მუზარადის“ უკანასკნელი, მეოთხე შეჯიბრება — ავსტრალიის ღია ჩემპიონატიც.

ვაჟთა შეჯიბრებაში ბრწყინვალედ ითამაშეს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს პირველი ჩოგანი ივან ლენდლი და მისი 20 წლის თანამემამულე მილოსლავ მეჩირი. თუ ლენდლის ფინალში გასვლა, ასე ვთქვათ, წინასწარვე დაგეგმილი იყო, მეჩირი შეჯიბრების მონაწილეთა შორის მე-16 ნომრად გახლდათ განთესილი და, სანამ ფინალისკენ გზას გაიკაფავდა, რამდენიმე საქვეყნოდ ცნობილი მეტოქე დაამარცხა. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო მისი გამარჯვება ნახევარფინალში უიმბლდონის ტურნირის ორგზის ჩემპიონთან, დასავლეთგერმანელ ბორის ბეკერთან — 4:6, 6:3, 6:3, 4:6, 6:3 (ეს ორთაბრძოლა 3 საათსა და 18 წუთს გაგრძელდა). მეორე ნახევარფინალში ლენდლმა საკმაოდ იოლად სძლია სტეფან ედბერგს (შვეცია) — 7:6, 6:2, 6:3, ლენდლმა ფინალური შეხვედრაც მეტად ძლიერად ჩაატარა, მეჩირს სამივე პარტია მოუგო (6:4, 6:2, 6:0) და ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა აშშ-ის ღია პირველობაში.

ქალთა ტურნირის ნახევარფინალურ მატჩებში ჩეხოსლოვაკიელმა ჰელენა სუკოვამ აჯობა მსოფლიოს მეორე ჩოგანს, მასპინძელთა წარმომადგენელ კრის ევერტ-ლოიდს (6:2, 6:2), ხოლო ქალთა ჩოგბურთის აღიარებულმა ლიდერმა მარტინა ნავრატილოვამ (აშშ) 17 წლის შტეფი გრაფი (გფრ) დაამარცხა — 6:1, 6:7, 7:6. ფინალში აშკარა იყო ნავრატილოვას უპირატესობა სუკოვასთან — 6:3, 6:2.

# რეკორდები და სეზონის საუკეთესო შედეგები

**სექტემბრის** დასაწყისში მსოფლიოს უძლიერესი მძლეოსნები, ტრადიციულად, დიდ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობენ. ამ პერიოდში შედეგები, როგორც წესი, მაღალია, ზოგჯერ კი ისინი მსოფლიო მიღწევებსაც აჭარბებენ.

ლიუბლიანაში, მაგალითად, ბალკანეთის ქვეყნების ტრადიციულ თამაშებზე ბულგარელმა იორდანა დონკოვამ 100 მეტრზე თარჯრბენში 12,26 აჩვენა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნიჭიერმა ბულგარელმა მძლეოსანმა ბოლო ორი თვის მანძილზე უმაღლესი მიღწევა მეოთხედ გააუმჯობესა.

კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი იქნა დამყარებული პეკინში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე. ამჯერად თავი ჩინეთის წარმომადგენელმა ლი სუცზემ გამოიჩინა. 5 კილომეტრზე სპორტულ სიარულში მისი შედეგი 21.34,37 იყო.

ამ დღეებში რომის მახლობლად ქალაქ რიეტიში კინაღამ „დაეცა“ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მსოფლიო რეკორდი მძლეოსნობაში. საბჭოთა ათლეტმა იგორ პაკლინმა სიმაღლეზე ხტომაში მისსავე მსოფლიო რეკორდს შეუტია. მან ფაქტიურად დასძლია კიდეც 242 სანტიმეტრის სიმაღლე. თამასა ერთხანს ირხეოდა ამ სარეკორდო ნიშნულზე და როცა ყველამ დაიჯერა სიმაღლე დაძლეულიაო, სწორედ მაშინ ჩამოვარდა. პაკლინმა ამ შეჯიბრებაში მაინც პირველი ადგილი დაიკავა სეზონის საუკეთესო შედეგით — 238 სმ.

რიეტიში, სეზონის კიდევ რამდენიმე საუკეთესო შედეგი იქნა ნაჩვენები. ქალთა სიმაღლეზე ხტომაში ბულგარელი მსოფლიო რეკორდსმენი სტეფკა კოსტადინოვა 205 სანტიმეტრს გადაევლო, ეველინ ეშფორდმა (აშშ) კი 100 მეტრი 10,88 წამში გაირბინა.



**კვირას, 14 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიმართება თბილისის დიდი „სტიპლ-ჩეზის“ მეორე ეტაპის შეჯიბრებები. მონაწილეობენ სომხეთის, აზერბაიჯანის, როსტოვის ოლქისა და საქართველოს უძლიერესი მხედრები.**

იმუშავებს ტოტალიზატორი, გათამაშდება ლატარია ავტომანქანა „ჟიგულის“ ურიგოდ, ნაღდ ანგარიშზე შესაძენად.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

## როცა უკანდასახევი გზა მოჭრილია

**დიახ,** ანდრეი სოკოლოვმა ახლა მხოლოდ მოგებაზე უნდა იფიქროს, რადგან უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს — პირველ ოთხ შეხვედრაში არტურ იუსუპოვმა ორჯერ დაამარცხა მეტოქე და დამაჯერებლად ლიდერობს. და აი, სოკოლოვმა მე-5 პარტიაში შეუპოვრად იბრძოლა და ფრანგულ დაცვაში საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა. პარტია 41-ე სვლაზე გადაიდო. სოკოლოვს ზედმეტი პაიკი და მოგების რეალური შანსი აქვს.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 13 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2)**; სტადიონი ყველასთვის **12.10 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფრენბურთში: ფინალური ტურნირი — **16.20 (1)** და **0.35 (1)**; სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე — **21.30 (2)**.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**რაგბი**
**თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი**
13 და 14 სექტემბერი
**საბჭოთა კავშირის პირველობა („ბ“ ფინალური ჯგუფი)**
**„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)**
დასაწყისი 19 საათზე.



**14 სექტემბერს, 17 საათზე, თემქის დასახლებაში** (მე-11 მიკრორაიონის II კვარტალი, 25 კორპუსი) ღია საჭიდაო არენაზე სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ საქალაქო საბჭო ატარებს მასობრივ ღონისძიებას — შეჯიბრებას ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612